# დასაქმება საქართველოში (2014-2017)

## ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #108/ 13.02.2019

**დასაქმების დონის ზრდა და უმუშევრობის შემცირება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევასა და პრიორიტეტს წარმოადგენს. მოცემულ ბიულეტენში, 2014-2017 წლებში, დასაქმების მიმართულებით არსებული ტენდენციები მიმოხილულია.**

დასაქმებული, უმუშევარი და სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის წილი 15 წელს ზემოთ მოსახლეობაში 2017 წელს




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს, საქართველოში 15 წელს ზემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, 2016 წელთან შედარებით, 0.1%-ით გაიზარდა (2 864 ადამიანით) და 3, 012 300 ადამიანი შეადგინა.

2016 წელთან შედარებით, 2017 წელს, 15 წელს ზემოთ მოსახლეობაში დასაქმებულთა[1] წილი (დასაქმების დონე) 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 56.7%-ს გაუტოლდა. 2017 წელს, დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ 1 706 640, ხოლო უმუშევართა[2] რიცხვმა 276 415 ადამიანი შეადგინა.

2017 წელს, 15 წელს ზემოთ მოსახლეობაში, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანების პროცენტული წილი, 2016 წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 34.1%-ს გაუტოლდა. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანების რაოდენობამ, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.6%-ით (16 027 ადამიანით) მოიმატა და 1 029 200 ადამიანი შეადგინა.

სამუშაო ძალის შემადგენლობა 2014-2017 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს, საქართველოში უმუშევრობის დონე[3], 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9% შეადგინა.

2014-2017 წლებში, სამუშაო ძალაში[4] დაქირავებით დასაქმებულთა პროცენტული წილი იზრდებოდა და 2017 წელს, დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ სამუშაო ძალის 41.6% შეადგინა. თვითდასაქმებულთა[5] პროცენტული წილი კი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მცირდებოდა და 2017 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი სამუშაო ძალის 44.5%-ს გაუტოლდა.

დასაქმებულთა %-ული განაწილება სხვადასხვა სექტორის მიხედვით და ამ სექტორების მიერ მშპ-ში შეტანილი წვლილი (%) 2017 წელს




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს, სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორში დასაქმებულთა იმაზე დიდი პროცენტული წილი მუშაობდა, ვიდრე ამ სექტორების მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი %-ული წვლილი[6]. დასაქმებულთა 43% სოფლის მეურნეობის, ხოლო 9% განათლების სექტორში იყო დასაქმებული, მაშინ როცა სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორების მიერ მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) შეტანილმა წვლილმა 8% და 5% შეადგინა.

2017 წელს, მაღალი შრომის ნაყოფიერების კუთხით, შეგვიძლია, გამოვყვეთოთ მშენებლობისა და ტრანსპორტ-კავშირგაბმულობის სექტორები, სადაც დასაქმებულთა 5-5% მუშაობდა, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტში მათ მიერ შეტანილი წვლილი 10-10% იყო.

2014-2017 წლებში დაქირავებით დასაქმებულთა როგორც საშუალო თვიური ნომინალური, ასევე რეალური ხელფასი ყოველწლიურად იზრდებოდა.

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, ნომინალური ხელფასი 6%-ით გაიზარდა და 999 ლარს გაუტოლდა, თუმცა, რეალური ხელფასის[7] ოდენობამ, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 2 ლარით (0.2%) მოიმატა და 803 ლარი შეადგინა.

2014 წელთან შედარებით, 2017 წელს, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 22.1%-ით (181 ლარი), ხოლო რეალური ხელფასი 8.4%-ით (63 ლარი) გაიზარდა.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური და რეალური ხელფასი 2014-2017 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[1] საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.
[2] 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.
[3] უმუშევართა პროცენტული წილი სამუშაო ძალაში (ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში).
[4] დასაქმებული და უმუშევარი პირების ერთობლიობა.
[5] მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.
[6] მთლიანი შიდა პროდუქტი, 45 საქმიანობის სახის მიხედვით, მიმდინარე ფასებში.
[7] საბაზისოდ აღებულია 2010 წელი.

ფიზიკურ პირთა ყოველთვიური საშუალო შემოსავალი დიაპაზონების მიხედვით 2017 წელს

| ყოველთვიური საშუალო შემოსავალი | ფიზიკურ პირთა რაოდენობა | % წილი |
|---|---|---|
| შემოსავალი≤400₾ | 565 950 | 46% |
| 400₾ < შემოსავალი≤800₾ | 257 771 | 21% |
| 800₾ < შემოსავალი≤1000₾ | 90 506 | 7% |
| 1000₾ < შემოსავალი≤1667₾ | 166 100 | 14% |
| 1667₾ < შემოსავალი≤8333₾ | 132 000 | 11% |
| 8333 ₾ < შემოსავალი | 9 826 | 1% |
| სულ | 1 222 153 | 100% |

წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური

საქართველოს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, 2017 წელს, სულ 1 222 153 ფიზიკური პირის შემოსავალი დეკლარირდა.

ფიზიკური პირების 46%-ის (565 950 ადამიანი) ყოველთვიურმა შემოსავალმა საშუალოდ 400 ლარზე ნაკლები, ხოლო 1%-ის (9 826 ადამიანი) შემოსავალმა კი - 8 333 ლარზე მეტი შეადგინა.

2017 წელს, თვეში საშუალოდ 1000 ლარზე ნაკლები შემოსავალი ფიზიკურ პირთა 74%-ს (914 227 ადამიანი), 1000 ლარზე მეტი კი 26%-ს (307 926 ადამიანი) დაუფიქსირდა.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით 2017 წელს




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს, საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდის მიუხედავად, მკვეთრი სხვაობაა ხელფასებს შორის ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.

2017 წელს, სამი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სექტორი იყო: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (2008 ლარი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (1595) და მშენებლობა (1466 ლარი). ყველაზე დაბალი ანაზღაურება კი შემდეგ სექტორებში დაფიქსირდა: განთავსებისა და საკვების მიწოდების საქმიანობები (672 ლარი), სოფლის მეურნეობა (643 ლარი) და განათლება (577 ლარი).

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალანაზღაურებად სექტორში, დასაქმებული მოსახლეობის 2% მუშაობდა, მაშინ როცა ორ ყველაზე დაბალანაზღაურებად სექტორში დასაქმებულთა 52% იყო კონცენტრირებული.

HR.GE-ზე 2017 წელს გამოქვეყნებული ვაკანსიები, ძირითადი სფეროების მიხედვით




წყარო: „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი". 2018.

2017 წლის განმავლობაში, დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE-ს ვებ-გვერდზე სულ 32 767 ვაკანსია გამოცხადდა. მათი უმრავლესობა 34.2% (11 198) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროზე მოდის. აღნიშნულ სფეროში ყველაზე დიდი მოთხოვნა - 59% (6 615 ვაკანსია) მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველებზეა.

გამოქვეყნებული ვაკანსიების 17.2% (5 621) სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს მიემართება, ყველაზე დიდი მოთხოვნა კი - 50% (2 801 ვაკანსია) ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებზეა.

2017 წელს, გამოცხადებულ ვაკანსიებს შორის, ასევე მაღალია ტექნიკოსებისა - 13% (4 252) და ოფისის დამხმარე პერსონალის - 11,8% (2 484) პროცენტული წილი. ყველაზე ცოტა, 51 ვაკანსია (0.2%) სოფლის მეურნეობის დარგში გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ გამოცხადებული ვაკანსიების უმეტესობა - 53.7%, სამუშაოს მაძიებლისგან საშუალო და/ან პროფესიულ, 36.9% - უმაღლეს, ხოლო 9.4% დაწყებით/საბაზო განათლებას მოითხოვდა[8].

“კავკასიის ბარომეტრის” თანახმად, 2017 წელს, უმუშევარი მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს, 41%-ს, საშუალო ან დაბალი, ხოლო დასაქმებულების უმრავლესობას, 42%-ს, საშუალოზე მაღალი განათლება ჰქონდა მიღებული.

საშუალო ტექნიკური (პროფესიული) განათლების მქონეთა რაოდენობა დასაქმებულების 29%, ხოლო უმუშევრების 25%-ს შეადგენდა.

2017 წელს, უმუშევართა 34%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული.

დასაქმება განათლების დონის მიხედვით 2017 წელს




წყარო: კავკასიის ბარომეტრი (2017), N=2379

| ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 I | 2018 II | 2018 III |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი) | 16507.8 | 13988.1 | 14377.9 | 15086.5 | 3651.6* | 4155.8* | 4185.3* |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 4438.3 | 3754.9 | 3857.3 | 4046.8 | 979.1* | 1114.3* | 1122.2* |
| მშპ-ს რეალური ზრდა | 4.6% | 2.9% | 2.8% | 4.8% | 5.2% | 5.6% | 3.7% |
| ინფლაცია | 3.1% | 4.0% | 2.1% | 6% | | | |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) | 1817.7 | 1665.6 | 1565.8 | 1894.5 | 287* | 389.1* | 322.6* |
| უმუშევრობის დონე | 14.6% | 14.1% | 14% | 13.9% | | | |
| სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი) | 3997 | 4315 | 4515 | 5177 | 5298 | 5186 | 5140 |
| სიღარიბის დონე (ფარდობითი) | 21.4% | 20.2% | 21% | 22.3% | | | |

[8] „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი". 2018. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.